საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება № 01-11/89

ქ. ბათუმი 26 მარტი 2021

ა(ა)იპ „ბათომის“ 2021 წლის 26 თებერვლის N169689
ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე
უარის თქმის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, 2021 წლის 26 თებერვალს, შემოვიდა ა(ა)იპ „ბათომის“ ადმინისტრაციული საჩივარი.

მომჩივანი ითხოვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 იანვრის N01-07/2 ბრძანებისა და სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის N03-04/1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობას.

საჩივრის მიხედვით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარეობს ბათუმის ზღვისპირა ბულვარში, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 20 თებერვლის N3/31 ბრძანებით მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

საჩივარში მითითებულია, რომ 2005 წლის აპრილიდან ბათუმის ზღვისპირა ბულვარში, კერძოდ, სულიკო ჟღენტის ქ. N6-ში მდებარე ტერიტორია იყო სხვადასხვა კერძო პირის საკუთრებაში. 2017 წლის 1 სექტემბერს ალექსანდრე ფრიდმა დააარსა შპს „ამბასადორი ბათუმი“ (ს/ნ 445515719), რომლის კაპიტალში არის შეტანილი მის საკუთრებაში არსებული, ს. ჟღენტის ქ. N6-ში მდებარე უძრავი ქონება.

მომჩივნის მითითებით, სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის N01-07/21 ბრძანებით გაიცა ნებართვა ქ. ბათუმში, ს. ჟღენტის ქ. N6-ში (საკადასტრო კოდი N05.21.02.002) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. აღნიშნული ნებართვის საფუძველზე შპს „ამბასადორი ბათუმმა“ მოიპოვა სამსართულიანი შენობის აღმართვის უფლება. წარდგენილი პროექტი ითვალისწინებდა ყოფილი საზღვაო პოლიკლინიკის შენობის დაშლას და მის ადგილას მსგავსი ფუნქციის შენობის მშენებლობას.

საჩივარში აღნიშნულია, რომ შპს ,,ამბასადორი ბათუმმა“ 2020 წლის 2 დეკემბერს, სააგენტოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის N01-07/21 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების ცვლილება.

სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის N03-04/1 სხდომის ოქმით მოწონებულ იქნა შპს ,,ამბასადორი ბათუმის“ მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, რაც ითვალისწინებდა 19 სართულიანი (3 სართული მიწის ქვეშ) სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 იანვრის N01-07/2 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2018 წლის 26 თებერვლის N01-07/21 ბრძანებით ნებადართულ საპროექტო დოკუმენტაციაში.

მომჩივნის მითითებით, გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული, რომ 2019 წლის სექტემბრიდან შემუშავების პროცესშია ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმა, რომლის მიზანი ბათუმის ბულვარის კონსერვაცია და ისტორიული იერსახისა და ღირებულების შენარჩუნებაა.

მომჩივნის მოსაზრებით შედავებული აქტები არ შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, დარღვეულია თანაზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერების პრინციპები, შეუსაბამოა საერთაშორისო აქტების მოთხოვნებთან, რაც გასაჩივრებული აქტების ბათილობის საფუძველია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 2 მარტის N01-11/57 ბრძანებით ა(ა)იპ ,,ბათომის“ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

დაინტერესებულმა პირმა, შპს ,,ამბასადორი ბათუმმა“ სამინისტროში წარმოადგინა მოსაზრება, რომლითაც არ დაეთანხმა ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნას შემდეგი საფუძვლებით:

შპს „ამბასადორი ბათუმის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაცემული ნებართვის საფუძველზე მიმდინარეობს ბალნეოლოგიური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, მდებარეობს ქალაქ ბათუმში, სულიკო ჟღენტის ქუჩა N6-ში (ს.კ 05.21.02.002). მიწის ნაკვეთს ესაზღვრება სულიკო ჟღენტის სახელობის შიდა საქალაქო გზა, რომლის მეშვეობით უზრუნველყოფილია ობიექტის პირდაპირი წვდომა ქალაქის დანარჩენ ნაწილთან. ამავე გზით სარგებლობს ქ. ბათუმში, ჟღენტის ქუჩა N1-ში (ს.კ 05.21.02.025) მრავალფუნქციური კომპლექსის (ე.წ. „კემპინსკის“ ან „პალმა“) და ქ. ბათუმში, ნინოშვილის/ჟღენტის ქუჩების კვეთაში (ს.კ. 05.21.02.011) შპს „ბათუმი თაუერის“ (ე.წ ტექნიკური უნივერსიტეტი) მდებარე ტურისტული ობიექტების მომხმარებლები.

ბათუმის ბულვარი, რომელიც წარმოადგენს სარეკრეაციო სივრცეს, არის სახელმწიფო საკუთრება, განაშენიანებულია 284 694 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და მისი მისამართია ქალაქი ბათუმი, ზღვისპირა პარკი (ს.კ 05.22.01.074).

შპს „ამბსადორი ბათუმის“ საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამომხმარებლო ფუნქციონირება არ იკვეთება ბათუმის ბულვარის განაშენიანებასთან, სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს ქალაქ ბათუმის ბულვარის საკადასტრო ერთეულში, ბათუმის ბულვარს და შპს „ამბასადორი ბათუმის“ მიწის ნაკვეთს აქვთ სხვადასხვა საკადასტრო კოდი და მისამართი.

დაინტერესებული პირის მითითებით, შპს „ამბასადორი ბათუმს“ არ დაუწყია მშენებლობა რეკრეაციულ ზონაში, თავისუფალ მიწის ნაკვეთზე. ამ ტერიტორიაზე, საბჭოური

პერიოდიდან ათეულობით წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა ე.წ ბალნეოლოგიური პოლიკლინიკა, რომლის არქიტექტურა არ იყო გადაწყვეტილი საპარკე არქიტექტურის ელემენტებით და განსხვავდებოდა ქალაქ ბათუმის ბულვარში ან მის მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების არქიტექტურული სტილისტიკისგან. შენობა-ნაგებობას არ გააჩნდა მხატვრული ღირებულება, რაც დასტურდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2016 წლის 10 მარტის წერილით.

მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობის განკარგვა კერძო საკუთრებაში სახელმწიფოს მიერ განხორციელდა 2007-2008 წლებში, მაღლივი შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით.

შპს ,,ამბასადორი ბათუმის" მითითებით, სადავო აქტით ნებადართული პროექტი გადაწყვეტილია საპარკე არქიტექტურის ელემენტებით. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მსჯელობა, რომ საბჭოური პერიოდის უსახური, ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის ჩანაცვლება მაღალი რეპუტაციის ბრენდით, რომელიც ინარჩუნებს საზოგადოებრივ დანიშნულებას და აქვს ბალნეოლოგიურ-გამაჯანსაღებელი ფუნქცია, ზიანს აყენებდეს ქალაქ ბათუმის ბულვარს.

შპს „ამბასადორი ბათუმის" მიერ ამჟამად განხორციელების ეტაპზე არსებული პროექტი ითვალისწინებს უმაღლესი კლასის გასართობ-დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობას, რომლის საერთო საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 40 მილიონამდე აშშ დოლარს, პროექტის ფარგლებში დასაქმდება 700-მდე ადგილობრივი მაცხოვრებელი.

პროექტის სააგენტოსთვის წარდგენამდე დოკუმენტაცია გამოკვლეულ იქნა და შეფასდა ორი ხელოვნებათმცოდნის მიერ, რომლებმაც გასცეს დადებითი რეკომენდაციები.

გასაჩივრებული აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით დაინტერესებულმა მხარემ მიუთითა, რომ ნებართვა გაცემულია ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს, სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ, რომელიც დაეყრდნო სათათბირო ორგანოს გადაწყვეტილებას.

საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეჯერების შედეგად სააგენტოს პრაქტიკაში არაერთხელ მიუღია გადაწყვეტილება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ახალი მოცულობის გაჩენასთან დაკავშირებით, რასაც ადასტურებს ე.წ ტექნიკური უნივერსიტეტის, ბათუმის ფოსტის და სხვა შემთხვევები.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2021 წლის 22 იანვრის ბრძანება N01-07/2 წარმოადგენს უფლებააღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შპს „ამბასადორი ბათუმს", როგორც დაინტერესებულ პირს, აქვს კანონიერი ნდობა ამ აქტის მიმართ და ამასთანავე, განხორციელებული აქვს იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებები. დაინტერესებული პირის მითითებით სახეზეა გარდაუვალი ზიანი, რომელიც მიადგება ნებართვის მფლობელს იმ შემთხვევაში, თუ აქტი ბათილად იქნა ცნობილი.

ა(ა)იპ ,,ბათომის" ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით წერილობითი დასკვნა წარმოადგინა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ.

წერილობითი დასკვნის მიხედვით ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში 2018 წლის 16 იანვარს წარმოდგენილ იქნა შპს ,,ამბასადორი ბათუმის" განცხადება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის, ქ. ბათუმში, ს. ჟღენტის ქ. N6-ში (ს/კ 05.21.02.002) მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: შეთანხმებულ იქნას კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ქ. ბათუმში, ს. ჟღენტის ქ. N6-ში მდებარე შენობა-ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად სააგენტოს დირექტორის მიერ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ.

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში, 2020 წლის 02 დეკემბერს, წარმოდგენილ იქნა შპს ,,ამბასადორი ბათუმის" წარმომადგენლის №1147937 განცხადება სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის №01-07/21 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების ცვლილების შესახებ.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს წევრთა უმრავლესობის აზრით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტით არ ირღვევა ბულვარის ავთენტურობა, ხელი არ ეშლება მის აღქმას და შენობის ვიზუალი თავისი ელემენტებით მიესადაგება ბულვარის არქიტექტურას. აღნიშნულის გათვალისწინებით საბჭოს მიერ მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

სააგენტომ განიხილა საბჭოს რამდენიმე წევრის უარყოფითი შეფასება პროექტთან დაკავშირებით. სათათბირო ორგანოს სხდომის მსვლელობისას საბჭოს წევრებს თანაბარი დრო ჰქონდათ მოსაზრების დასასაბუთებლად.

ადმინისტრაციული ორგანოს მითითებით, ა(ა)იპ ,,ბათომის" მიერ 2019 წელს მომზადდა კვლევა, რომლის მიხედვით სათათბირო ორგანოს მიერ წინასწარ, ათეულობით პროექტის დეტალური გაცნობა შეუძლებელია, რის საფუძველზეც გაცემულია რეკომენდაცია: საბჭოს მიერ მოხდეს პროექტის მხოლოდ კონცეპტუალური ნაწილის შეფასება. სააგენტო იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და საბჭოს მიერ საკითხების განხილვა ხდება ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვით.

სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სათათბირო ორგანოს დასკვნასთან ერთად მხედველობაში იქნა მიღებული ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" ის მუხლები, რომელზეც უთითებს მომჩივანი, არ ვრცელდება სადავო ურთიერთობაზე. ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად ამ თავით განსაზღვრული ნებართვების გაცემის სხვა წესი

და სანებართვო პირობები დგინდება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით. ხსენებული თავია ,,კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები, ნებართვების გაცემის წესი და სანებართვო პირობები" (თავი IX), საჩივარში კი განხილულია მუხლები, რომლებიც ეხება ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების განხორციელებას დასახლებულ უბანში და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში. აღნიშნული ნორმები არ ვრცელდება ძეგლზე წარმოებულ სამუშაოებზე, ამასთან, მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხება არა დამცავ ზონაში სამუშაოების წარმოებას, არამედ უშუალოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებს.

ა(ა)იპ ,,ბათომის" ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, ზეპირი მოსმენის სხდომა გაიმართა 2021 წლის 17 მარტს. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეებს მიეცათ სრული შესაძლებლობა, დაესაბუთებინათ საკუთარი პოზიციები.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს დამატებით დაერთო მტკიცებულებები.

მომჩივნის შუამდგომლობით მოსმენილ იქნა ხელოვნებათმცოდნეების (სპეციალისტი) მოსაზრება, რომლებიც დაუშვებლად მიიჩნევენ სადავო ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებას, რაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიმაღლის ცვლილებას (გაზრდა) ითვალისწინებს.

მომჩივნის შუამდგომლობითვე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს დაერთო ქ. ბათუმში, ბულვარის განაშენიანების გეგმის წინასაპროექტო კვლევა, ხოლო დაინტერესებული პირის შუამდგომლობით _ არქიტექტორ-რესტავრატორის, ურბანული არქიტექტურის მკვლევარის დასკვნა.

ა(ა)იპ ,,ბათომის" 2021 წლის 26 თებერვლის N169689 ადმინისტრაციული საჩივრის, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეთა განმარტებებისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების ერთობლიობაში განხილვისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად დგინდება, რომ ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის N01-07/21 ბრძანებით, შპს ,,ამბასადორი ბათუმის" 16.01.2018 წ. განცხადების საფუძველზე, გაიცა ნებართვა ქ. ბათუმში, სულიკო ჟღენტის ქ. N6-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ბრძანების საფუძველზე გაცემული 26.02.2018 წ. N03-05/7 სანებართვო მოწმობა ითვალისწინებდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის რეკონსტრუქციას, ადაპტაციასა და ცვლილებას, რაც შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მოიცავდა მიწის ქვეშ 3 სართულისა და მიწის ზედა 4 სართულის მშენებლობის სამუშაოებს.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგენტოს დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის N01-07/21 ბრძანებას საფუძვლად დაედო სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის სხდომის ოქმი N03-04/04, რომლითაც დგინდება, რომ საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 14 ნოემბრის N01-07/229 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის N01-07/21 ბრძანებით განსაზღვრულ საპროექტო დოკუმენტაციაში შპს ,,ამბასადორი ბათუმის" მიერ წარმოდგენილი ცვლილების ამსახველი დოკუმენტების მიხედვით. საპროექტო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საძირკველში ხიმინჯების დამატებას.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგენტოს დირექტორის 2019 წლის 14 ნოემბრის N01-07/229 ბრძანებას საფუძვლად დაედო სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2019 წლის 23 ოქტომბრის სხდომის ოქმი N03-04/26, რომლის მიხედვით საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გადაწყვეტილებას.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს 2019 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე, შპს ,,ამბასადორი ბათუმმა" განხილვის მიზნით წარადგინა ქ. ბათუმში, ს. ჟღენტის ქ. N6-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ესკიზური წინადადება, რაც არ იქნა მოწონებული საბჭოს წევრთა უმრავლესობის მიერ.

2020 წლის 2 დეკემბერს, სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიმართა შპს ,,ამბასადორი ბათუმის" წარმომადგენელმა და მოითხოვა სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის 01-07/21 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების ცვლილება.

შპს ,,ამბასადორი ბათუმის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანას (21.01.2021 წ. N03-04/1 სხდომის ოქმი).

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 იანვრის N01-07/2 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 26 თებერვლის N01-07/21 ბრძანებით განსაზღვრულ საპროექტო დოკუმენტაციაში შპს ,,ამბასადორი ბათუმის" 2020 წლის 2 დეკემბრის N1147937 განცხადებით წარმოდგენილი ცვლილების ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით.

ბრძანება გამოცემულ იქნა სათათბირო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით და დაეფუძნა შემდეგ გარემოებებს: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრთა უმრავლესობის აზრით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტით დაცულია ბულვარის ავთენტურობა, ხელი არ ეშლება მის აღქმას და შენობის ვიზუალი თავისი ელემენტებით მიესადაგება ბულვარის არქიტექტურას. ამასთანავე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით შპს ,,ამბასადორი ბათუმის" მიერ წარმოდგენილი ცვლილების საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლა არ იძლევა განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ბულვარის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ავთენტურობა (რაც გულისხმობს ძეგლის სტრუქტურული ელემენტის, გარემოს, კონტექსტის, ფუნქციის ერთობლიობას) შენარჩუნებულია და არ ირღვევა (კონკრეტულად: საფეხმავლო ბილიკები, გამწვანებული ზოლი, რასაც მოიცავს ბულვარის გეგმარება, დენდროლოგია). საპროექტო ობიექტის განთავსება ხდება ადრე არსებული შენობის

(ბალნეოლოგიური ცენტრი) კონტურებში და არ სცდება მის საზღვრებს. რაც შეეხება შენობის არქიტექტურას (შენობის გაბარიტები, სიმაღლე, ფასადის მოპირკეთების მასალა), ბულვარი, როგორც ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლი, განვითარებულია ჰორიზონტალურად, საპროექტო ობიექტის მოცულობის (სიმაღლე) გაზრდით ძეგლის (ბულვარი) აღქმას ხელი არ შეეშლება, ბულვარი დარჩება დომინანტად. მისაღებია შენობის ფასადის მოპირკეთება მინით, რაც შენობას შესძენს სიმსუბუქეს და არსებული გარემოს სივრცის არეკვლით სწორ არქიტექტურულ გადაწყვეტას წარმოადგენს.

გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იქნა მიღებული ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, რომლის თანახმად საპროექტო დოკუმენტაცია ერთდროულად პასუხობს როგორც საპარკე არქიტექტურის მოთხოვნებს, ასევე მოცულობითი გადაწყვეტით _ მსხვილმასშტაბიან შენობებს და ამ მოცულობამ გარკვეული ვიზუალური ჰარმონია და ბალანსი უნდა შექმნას ბულვარის გამყოფ ხაზზე.

აღნიშნული პროექტი, არსებულ რეგულაციებთან („შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“) თანხვედრის კუთხით შეთანხმებულ იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან (20.01.2021 წ. N14-1421020219 კორესპონდენცია).

ბრძანების საფუძველზე, 2021 წლის 22 იანვარს, გაიცა სანებართვო მოწმობა N03-05/2, რომლის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ნებადართულია სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბალნეოლოგიურ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობა.

მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ბულვარის განაშენიანების გეგმის წინასაპროექტო კვლევის მიხედვით ბათუმის ბულვარს, როგორც ისტორიულ პარკს, არ დაუკარგავს თავდაპირველი გეგმარების ძირითადი მახასიათებლები, რომელთა შენარჩუნება და წარმოჩენა ხელს შეუწყობს ძეგლის დაცვასა და განვითარებას. ქალაქის სხვადასხვა პერიოდში შექმნილ გეგმებში ჩანს პარკის განვითარების დაარსებიდანვე გამოკვეთილი მთავარი ტენდენციები, რომლებიც დღემდე აქტუალურია: ბულვარის ზრდის უწყვეტი პროცესი, ზღვისპირა პარკის მჭიდრო კავშირი ქალაქის ურბანულ ქსოვილთან, ქუჩების გახსნა ხედით ზღვისკენ, რეაგირება ქვეყნის ისტორიულ პროცესებზე.

დაინტერესებული პირის შუამდგომლობით წარმოდგენილი, არქიტექტორ-რესტავრატორისა და ურბანული არქიტექტურის მკვლევარის დასკვნით ამჟამინდელ ურბანულ ვითარებაში საპროექტო მოცულობა არ იწვევს ზიანს ბულვარის ესთეტიურობის აღქმის თვალსაზრისით, ვინაიდან ის არ იჭრება ბულვარის ტერიტორიაზე და მისი საზღვრები რჩება უცვლელი. შედარებით შორი თვალსაწიერიდან შენობის მასშტაბი მშვიდად ეწერება მრავალსართულიანი შენობების საერთო პანორამაში, რომლებიც განთავსებულია ობიექტის უშუალო სიახლოვეს. მოცულობის საერთო მასიურობას აქრობს ფასადების ზედა ნაწილის მთლიანი შემინვა, რომელიც ცდილობს მოცულობის „გაუჩინარებას“ ცის ფონზე.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უფლებამოსილება კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებით და ამ აქტის კანონშესაბამისობა, მისი მატერიალური შინაარსისა და აქტის გამოცემის პროცედურული წესის დაცვის თვალსაზრისით.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ჩატარების წესი რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

კანონის 47-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად ძეგლზე ამ კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრული სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-10 პუნქტებში მითითებული შემთხვევებისა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა გაიცემა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ხოლო უძრავი ძეგლის შემთხვევაში _ ასევე კვლევით სამუშაოებზე, თუ ეს სამუშაოები გულისხმობს ძეგლზე ფიზიკურ ზემოქმედებას. ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოებზე გაიცემა მხოლოდ ერთი, ამ მუხლის პირველი, ან მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნებართვა და ძეგლზე სამუშაოების ჩატარება სხვა სახის ნებართვას არ საჭიროებს.

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო, ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 დეკემბრის №386 დადგენილების საფუძველზე სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო წარმოადგენს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სააგენტოს უფლებამოსილებები განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბერის №46 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად სააგენტო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების ნებართვები.

გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის, სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 იანვრის N01-07/2 ბრძანების მართლზომიერების მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას აღსანიშნავია, რომ ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ქ" ქვეპუნქტით ძეგლის ადაპტაცია არის ძეგლში მისი რეაბილიტაციის, ასევე ფუნქციის დასაშვები ცვლილების ინტერესით განპირობებული იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლებიც არ იწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას და გამართლებულია მეთოდოლოგიურად.

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ნებართვა გაიცემა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, რის გამოც სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ გასცა ნებართვა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, რაც ამ ძეგლის ადაპტაციას გულისხმობს.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანომ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, რომელიც შესაბამისი დარგის სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული, წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინტერესებთან შესატყვის რეაბილიტაციად შეაფასა.

ადმინისტრაციული ორგანო ვერ გაიზიარებს მომჩივნის მტკიცებას, რომ სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოში სრულფასოვნად არ შესწავლილა საპროექტო დოკუმენტაცია. აღნიშნულის თაობაზე სათათბირო ორგანოს რომელიმე წევრს არ დაუფიქსირებია პრეტენზია საკითხის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოში, ამასთანავე, არც საბჭოს გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული, დასაბუთებული აზრი ყოფილა წარდგენილი დამატებით საბჭოს რომელიმე წევრის მიერ.

სააგენტოს დირექტორი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,ლ" ქვეპუნქტის თანახმად დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის მატერიალური შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ გაწონასწორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში.

განსახილველ შემთხვევაში, მომჩივნის უფლების დარღვევის შესაძლებლობა განსახილველია შემდეგ ასპექტებში: დაცულია თუ არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ავთენტურობა (სანებართვო ობიექტი და ბულვარი); უარესდება თუ არა მომჩივნის სამართლებრივი მდგომარეობა სანებართვო ობიექტის ფუნქციური გამოყენების თვალსაზრისით; უარესდება თუ არა მომჩივნის სამართლებრივი მდგომარეობა ბულვარის, როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის სარგებლობის თვალსაზრისით; ზიანი ადგება თუ არა ეკოლოგიას.

სათათბირო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემულ სააგენტოს დირექტორის ბრძანებაში მოცემულია შემდეგი არგუმენტები: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ბალნეოლოგიურ-გამაჯანსაღებელი ფუნქცია შენარჩუნებულია (22.01.2021 წ. N03-05/2 სანებართვო მოწმობა); განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა ხელს არ უშლის ბულვარის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ავთენტურობას, არ გამოიწვევს ზღვისპირა პარკის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას.

ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოებისას როგორც მომჩივნის, ასევე დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ იქნა სპეციალისტთა (ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტორი) მოსაზრებები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (როგორც სანებართვო ობიექტის, ასევე ბულვარის) ავთენტურობის შენარჩუნებასა და დაცვასთან დაკავშირებით.

ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობაში განხილვისა და შეჯერების საფუძველზე არ დგინდება, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ითვალისწინებს

ქ. ბათუმში, ს. ჟღენტის ქ. N6-ში უკვე არსებული ნაგებობის სიმაღლის მატებას, გამოიწვია, ან შესაძლოა გამოიწვიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის და ამავდროულად, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილის, ბულვარის დანიშნულების ან მნიშვნელობის შეცვლა, ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური და კულტურული ღირებულებების შემცირება. ზღვისპირა პარკის დანიშნულება ქალაქის განსაკუთრებული იერსახის შენარჩუნებისა და გამწვანების დაცულობის თვალსაზრისით არ იცვლება. ამასთანავე, არქიტექტორის შეფასებით, დაპროექტებული ნაგებობა შესაბამისობაშია ქალაქის განაშენიანების ძირითად მიმართულებასთან და ქალაქის ამ ნაწილის ერთიან არქიტექტურულ სივრცეს შეესაბამება, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილი გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია ,,ჯი ელ მენეჯმენტის" დასკვნით ნებადართული სამუშაოები არ ითვალისწინებს მწვანე ნარგავების მოჭრას, პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობა არ წარმოადგენს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროს შემცველ ობიექტს, - მისი ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით იგი ვერანაირ უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს საპროექტო ტერიტორიის გარეთ არსებულ მწვანე ნარგავებსა და ჰაერის დაბინძურებაზე.

რაც შეეხება ბულვარის, როგორც ცალკე უფლების ობიექტის სარგებლობის ხელშემშლელი გარემოებებს, მათი არსებობა არ დასტურდება, ვინაიდან სანებართვო ობიექტს აქვს ბულვარისაგან განსხვავებული მისამართი (სულიკო ჟღენტის ქუჩა N6), საკადასტრო კოდი (05.21.02.002) და ობიექტთან წვდომის მიზნით ბულვარისაგან (მის. ზღვისპირა პარკი, ს/კ 05.22.01.074) დამოუკიდებელი გზა.

საჩივრის განმხილველი ორგანო ეთანხმება სადავო ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს განმარტებას იმის შესახებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ნებართვის გაცემისა და სამუშაოების წარმოების საკითხი არ მიეკუთვნება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით რეგულირებად სფეროს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ნებართვის გაცემა წესრიგდება ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

მომჩივნის მითითება ბულვარის განაშენიანების გეგმის სამართლებრივ მნიშვნელობაზე განსახილველ შემთხვევასთან დაკავშირებით არარელევანტურია. სსიპ ბათუმის ბულვარის 2020 წლის 22 იანვრის N01-11/17 კორესპონდენციით ქალაქ ბათუმის ბულვარის განაშენიანების გეგმა მოიცავს სსიპ ბათუმის ბულვარის სარგებლობაში არსებულ ბათუმის ბულვარის სრულ ტერიტორიას (ს.კ. 05.22.01.074), ხოლო მომიჯნავე ტერიტორიების მიმართ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ რეკომენდაციები.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ბულვარის გეგმარების ის მახასიათებლები, რაც მომჩივნის მიერ წარმოდგენილ ბულვარის განაშენიანების გეგმის წინასაპროექტო კვლევის თანახმად ბულვარის ავთენტურობას განსაზღვრავს: ,,ბულვარის ზრდის უწყვეტი პროცესი, ზღვისპირა პარკის მჭიდრო კავშირი ქალაქის ურბანულ ქსოვილთან, ქუჩების გახსნა ხედით ზღვისკენ, რეაგირება ქვეყნის ისტორიულ პროცესებზე", _ შენარჩუნებულია და რომელიმე მახასიათებლის რეალიზებას ნებადართული ცვლილებით საფრთხე არ ექმნება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ობიექტის მიმდებარედ არსებობს მაღლივი განაშენიანება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღმჭურველი ხასიათისაა, რაც წარმოშობს დამატებით მოთხოვნებს ამგვარი აქტის ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ნებართვის მფლობელს წარმოეშობა კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან.

შპს ,,ამბასადორი ბათუმის" მიერ, 2021 წლის 2 მარტის N185708 კორსპონდენციით სამინისტროში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ 2021 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით, შპს „ამბასადორი ბათუმის" მიერ ქ. ბათუმში, სულიკო ჟღენტის ქუჩა №6-ში წარმოებულ სამუშაოებზე უკვე განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 25 845 035 ლარს, რაც ფინანსური ოპერაციების შესრულებისას არსებული სავალუტო კურსის გათვალისწინებით 9 675 315 აშშ დოლარის ტოლფასია.

უფლებააღმჭურველი აქტის აღსრულების მიზნით, 2021 წლის 23 იანვარს, შპს „ამბასადორი ბათუმმა" გააფორმა ნარდობის ხელშეკრულება სამშენებლო კომპანია შპს „ანაგთან". ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. ბათუმში, სულიკო ჟღენტის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.21.02.002) საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

ხელშეკრულების 9.5 პუნქტი ითვალისწინებს ფინანსურ სანქციებს ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.

შპს ,,ამბასადორი ბათუმის" მიერ სამინისტროში, 2021 წლის 2 მარტის N185708 განცხადებით წარმოდგენილი მასალებით ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ შპს ,,ამბასადორი ბათუმის" მიერ მიღებული ნებართვის საფუძველზე განხორციელდა მასშტაბური ხასიათის ფინანსური ოპერაციები და შესრულდა მოცულობითი სამუშაოები, რის შედეგადაც უფლებააღმჭურველი აქტი გარკვეულ ნაწილში აღსრულდა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში ნებართვის მფლობელს წარმოეშობა უფლება, ადმინისტრაციული ორგანოსგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ,,ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები".

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ,,დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს".

ადმინისტრაციული წარმოების შედეგად ვერ დადასტურდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების არსებობა.

რაც შეეხება მომჩივნის მიერ შედავებულ, სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის N03-04/1 სხდომის ოქმს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუქტის მიზნებისათვის არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სხდომის ოქმის შედგენა ხდება სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს სხდომაზე, შესაბამისად არ მიიღება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და დამოუკიდებლად არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 3 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს საქმიანობის წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო არის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე, 183-ე, 185-ე, 193-ე, 201-ე და 202-ე მუხლების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ა(ა)იპ ,,ბათომის" ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 22 იანვრის N01-07/2 ბრძანებისა და სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის N03-04/1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს.
2. ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებამ.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტ. ზუბალაშვილის ქ. N30) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი